პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

(დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ეკა ლუაშვილი
წევრები: სალომე სიორდია

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **„დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: 4020022609

სახე:

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ვიზიტის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 18 აპრილის N 7 სხდომის ოქმის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების დაწესებულების მიერ გამოსწორებული/გათვალისწინებული შედეგების შემოწმება და შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯიდან 2018 წლის 25 ივნისს შემოსული N 01-47 (ცენტრში რეგისტრაციის N 801774) წერილში არსებული ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-8 მუხლთან.

1. **ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების დაწესებულების მიერ გამოსწორებული/გათვალისწინებული შედეგების შეფასება**

	წინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები	**ხარვეზების გამოსასწორბლად დაწესებულების მიერ განხოციელებული აქტივობები შეფასება განმეორებითი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ**
1	კოლეჯი ახორციელებს ისეთი საგნების სწავლებას, რომელიც არ არის დამტკიცებული ავტორიზებულ პროგრამაში.	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულებამ შეიმუშავა არჩევითი (არასავალდებულო) კურაციის გავლის და პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი კურაციები, რომლის შინაარს და მასში დაფიქსირებულ შედეგებს არ აქვს კავშირი მოდულური პროგრამების განხორციელების შინაარსთან და არ იმოქმედებს პროფესიული სტუდენტებისათვის

		კვალიფიკაციის მინიჭებაზე. აღნიშნული კურაციების განოხრციელების მიზანი არის ე.წ. დამატებითი სერვისი პროფესიული სტუდენტებისათვის, როგორც პროგრამის გარე აქტივობა და მისი შედეგები დაკავშირებულია მხოლოდ კომპანია ევექსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის დაფინანსების მიზნებისათვის. (იხ.დანართი N1. და დანართი N2. - პროფესიული სტუდენტების განცხადება არჩევითი (არასავალდებულო) კურაციის გავლის და პროცესის მარეგულირებელი წესიის შესახებ (4 ფურცელი)
2	შეფასების სისტემა და მეთოდები ბუნდოვანია, სტუდენტების განმარტებით, კორპორაცია „ევექსთან“ გასაფორმებელი კონტრაქტის და დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ კოლეჯში მოდულური პორგრამის შფასება რეალურად მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით, თუმცა სტუდენთა პირად საქმეში ინახება მტკიცებულბები მათი მოდულური პროგრამით გათვალისწინებული შეფასების შესაბამისად	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულებამ ცხადად გაწერა რეგულაციებში შეფასების 100 ქულიანი სისტემის გამოყენების წესი და პროცედურა.
3	პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი მოდულის სწავლის შედეგები, რომელიც მოითხოვს კლინიკურ ბაზაზე, რეალურ გარემოში განხორციელებას,	**ხარვეზი გამოსწორებულია:** ვიზიტის დროს აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოდულით გათვალისიწინებული შედეგების უმრავლესობის

	რეალიზებულ იქნა კოლეჯის ბაზაზე არსებულ სიმულაციურ გარემოში. რაც ეწინააღმდგება მოდულური პროგრამის სწავლების პრინციპებს და უკვე დადასტურებულ სწავლის შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს	დადასტურება უზრუნველყოფილია სიმულაციური გარემოში შესაბამისი აღჭურვილობებითა და სპეციალური აპლიკაციებით, რომლის იმპლემენტაციას რეალურ გარემოში ახდენენ პროფესიული სტუდენტები და ვიზიტის დღესაც გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სტუდენტები იმყოფებოდენ კლნიკაში. თუმცა მოდულის განხორციელების, დასახელებული (შერეული) მეთოდით სწვალება არ იყო გათვალისწინებული თავად მოდულის ჩანაწერებში, შესაბამისად ვიზიტის მსვლელობისას უზრუნველყო დაწესებულებამ მოდულში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებას და მორეს მხრივ სწვალების მეთოდოლოგია იმგვარად არის აღწერილი, რასაც რეალურად აკეთებს დაწესებულება (იხ დანართი N3. (9 ფურცელი))
4	პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგის შინაარსი და კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროგრამის შინაარსი არ არის ერთმანეთთან თავსებადი	**ხარვეზი გამოსწორებულია: იხ.** http://www.college.dtmu.ge/upload/files/katalogi2017-2018.pdf
5	პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები არ არის ცხადად განსაზღვრული და გარდა იმისა, რომ სტატუსის მოპოვების წინაპირობა არასწორად არის ფორმულირებული, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი პროცედურები განსაზღვრული,	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, ამასთან ვიზიტის დროს განხოციელბული ცვლილებების შინაარსის გაცნობის დროს წესში დაფიქსირდა პროფესიული ტესტირების შესახებ ჩანაწერი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის წარმოშობის საფუძვლების

	როგორიც არის : ა) როგორ ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება? რა დოკუმენტები უნდა იქნას წარმოდგენილი პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველების მიერ? რა ვადებში უნდა იქნას წარმოდგენილი საბუთები აპლიკანტის მიერ კოლეჯში? და ა.შ;	ნაწილში, რომელიც პროფესიული განათლების შესახებ კანონით არის განსაზღვრული, თუმცა არ ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებზე. დაწესებულებამ ვიზიტის დროს უზრუნველყო შესაბამისი ცვლილების განხორციელება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (იხ.დანართი N4 (1ფურცელი))
6	სასწავლო კონტრაქტები, რომელთა შინაარსი მსგავსად ზემოთ განხილული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა არის ზოგადი; მასში არ არის დეტალურად გაწერილი სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული პროცედურები (მაგალითად: სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და ა.შ.)	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დწესებულებამ შეიმუშავა პროფესული სტუდენტის ხელშეკურლებების განახლებული რედაქცია, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პროფესიული სტუდნტის უფლება-მოვალეობები, მათ შორის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები და პოცედურები. ვიზიტის დროს განახლებული შინაარსის ხელშეკურლბები არ იყო დედებული პროფესიულ სტუდენტებთან, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტების მიერ ცვლილების გაცნობისა და მათ მერ თანხმობის ხელმოწერით დადასტურების აქტები, მიუხედვად იმისა, რომ აღნიშნულ აქტებზე მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტების ხელმოწერა ფიქსირდებოდა, რომლებიც ვიზიტის დღეს იმყოფებოდნენ დაწესებულებაში, უნდ აღინიშნოს, რომ თავად ცვლილების შინაარსმა გააუმჯობესა პროფესიული სტუდენტების მდგომაროება და მისი შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც სტუდენტის სტატუსის შეჩერება შეწყვეტას ეხება არის სასწავლო პროცსის მარეგულირებელ წესში დეკლარიებული, რომელიც განთავსებული საჯაროდ გაცნობის მიზნით

		კოლეჯის ვე-გვერდზე იხ. http://www.college.dtmu.ge/upload/files/sasw-procesis-mar-wesi.pdf და დანართები N5 და N 6 (4 ფურცელი)
7	პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია, ფინანსური დავალიანება, თუმცა არ არის განმარტებული რა იგულისხმება ფინანსურ დავალიანებაში? (მაგ.სემესტრის სწავლის საფასურის გადაუხდელობა? გადახდის გრაფიკის შემთხვევაში მისი დარღვევა? და ა.შ.). ასევე სტატუსის შეჩერების საფუძვლებში მითითებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ სასწავლო ხელშეკულება ზოგადი შინაარსის არის და არ არის დაზუსტებული რომელი ვალდებულების არ შესრულების შემთხვევაში შეუჩერდება პროფესიულ სტუდენტს სტატუსი	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.
8	არ არის ცხადი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეტყვეტის პროცედურები და მსგავსად სტატუსის	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

	შეჩერებისა დელეგირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაზე, ხაზგასასმელია ის გარემობა, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, კანონმდებლობა არ იცნობს მისი სტატუსის კვლავ აღდეგნის შესაძლებლობას მის მიერ უკვე დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით. განსხვავებით უმაღლესი განათლების სისტემის მომწესრიგებელი შესაბამისი აქტების შინაარსი, სადაც სტატუს შეწყვეტილ სტუდენტს შეუძლია 12 თვის განმავლობაში ისარგებლოს მობილობის უფლებით. გამომდინარე აქედან პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებისა და პროცედურების შინაარსი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, პროფესიული სტუდენტის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვის კონტექსტში.	
9	არ დასტურდება კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არასებული ფართის საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის უწყვეტად გამოყენება, კერძოდ ბიბლიოთეკის, C გარემოს, სადაც განთავსებულია მულაჟები და	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულებას აქვს კვლავ ქვეიჯარა შპს დავით ტვილდიანის სამედიციცინო უნივერსიტეტთან, თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა უნივერსიტეტის რექტორის 19/06/2018 წლის კორესპოდენცია, რომლის თანახმადაც 2017 -2018 წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტი არ განახორციელებს

	შესაბამისი მოდულის რეალიზებისათვის საჭირო ინვენტარი და კომპიუტერული კლასის საერთო სარგებლობაში ქონა ხელს უშლის სასწავლო პროცესის შეუფერხებლობას და სრულფასოვნებას.	პროფესიული კოლეჯის შენობაში სალექციო აქტივობებს, ამასთან პროფესიული კოლეჯის შენოაბში არსებული აუდრიტორიების ქვეიჯარით გათვალისიენბული საერთო სარგებლობაში არსებული ფართი გამოყენება მხოდება უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისათვის 3 (სამი) დღით ადრე შეთანხმებით სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
10	კოლჯის მიერ დამტკიცებულ მოდულებში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში სრულყოფილად არსებობა არ დადასტურდა	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლის 20 მარტის ხელშეკრულება ელექტრონული წიგენების გამოყენებაზე დაშვების უფლებისა და წიგნების შეძენის ინვოისები. დოკუმენტაციაში დასახელებული წიგნების არსებობა ბიბლიოთეკაში დასტურდება.
11	ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი ვადაგასულია, შესაბამისად მათი სრულფასოვანი გამოყენების მიზნით სავალდებულოა მისი გადატვირთვა.	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლის 21 მარტის ხელშეკრულება შპს „ელიტ +“ 5 ერთეული ცეცხლმაქრის დამუხტვის შესახებ. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებლებაში 2018 წლის 07 ივნისის N09 ბრძანებით ცვლილილებები იქნა განხორცილებული და დებულების მე-4 მუხლით განისაზღვრა დაწესებულებაში არსებული ხანძარსაწინაღმდეგო უსაფრთხოების ზომები, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დაკონკრეტდა ცეცხლმაქრის გადამუხტვის ვალდებულება.
12	სამედიცინო კაბინეტში მედიკამენტები არ აღმოჩნდა, იმისდა მიუხედავად, რომ კოლეჯის რეგულაციები, სავალდებულოდ მიიჩნევს მედიკამენტების არსებობას სამედიცნო კაბინეტში, ამასთანავე კაბინეტს	**ხარვეზი გამოსწორებულია:** პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებულია სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ითავსებდა სამედიცინო დახმარების სამსახურის ფუნქციებს და

	ხელმძღვანელობს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომლის ფუნქციებიდან გამომდინარე ვერ იქნება უწყვეტად უზრუნველყოფილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.	მის ნაცვლად 2018 წლის 1 მაისს, შრომითი ხელშეკურლებით მოწვუელია სხვა, სამედიცინო განთლების მქონე პირი. განხორციელდა ცვლიელბა პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში და მასში დაზუსტდა პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ჩამონათვალი, მათ შორის მედიკამენტები, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული საშუალებების და მათი აღწერის მიზნით გამოყენებული საერგისტრაციო ჯურნალი.
13	კოლეჯის მიერ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები სრულ შესაბამისობაში არ არის შრომის კოდექსის მოთხოვნებთან, კერძოდ მასში არ არის გათვალისწინებული, შორმის კოდექსით განსაზღვრული ყველა არსებითი პირობა.	**ხარვეზი გამოსწორებულია:** დაწესებულებამ წარმოადგინა შრომითი და მომსახურების ხელშეკურლების განახლებული რედაქცია, ამასთან შრომითი ხელშეკრულებები ვიზიტის დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან დადებული და დამუშავებული იყო საქმისწარმოების წესის თანახმად, ხოლო მომსახურების კონტრაქტებზე ხელის მოწერა პროფესიული განათლების მასწავლებლების მირ ვიზიტის დროსაც მიმდინარეობდა და შესაბამისად არ დასრულებულა მათი საქმისწარმოების წესისი შესაბამისად დამუშავება. თავად ხელშეკურლებების შინაარსი კანონმდებლობასთან შესაბამისია, შრომითი ხელშეკრულების ტექსტში არ ფიქსირდებოდა დასაქმებულის სამუშაო ადგილი, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის თანახმად ხელშეკრულების არსებით პირობად არის მიჩნეული და ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულის

		აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც თან ახლავს წინამდებარე დასკვანას დანართი N7-ის სახით (10 ფურცელი)

2. **შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების მიზნით მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლების განახლებული შემადგენლობის პირადი საქმეების შეფასება**

კოლეჯში ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, მათმა შესწავლამ ცხადყო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 20 პირი, მათგან 7 არის ახალი, რომელთა კვალიფიკაცია ისევე, როგორც დანარჩენი 13 პროფესიული განათლების მასწავლებლის, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. ვიზიტის დორს დაწესებულებაში საგანმანათლებლო რეესტრის მონაცემების მიხედვით ფიქსირდებოდა 44 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი.

კოლეჯში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან დადებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების მიზნით დამატებული პროფესიული განათლების მასწვლებლების პირადი საქმის გადმომწმებამ ცხადყო, რომ იგი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-8 მუხლთან.

დანართები :

დანართი N 1 – 2 ფურცელი;

დანართი N 2 - 2 ფურცელი;

დანართი N 3 - 9 ფურცელი;

დანართი N 4 – 1 ფურცელი;

დანართი N 5 – 2 ფურცელი;

დანართი N 6 - 2 ფურცელი;

დანართი N 7 – 10 ფურცელი

დანართი N 8 – დღის წესრიგი (2 ფურცელი)

სულ 30 ფურცელი

14.07.2018 წელი